ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 1

ქ. ონი 23. 1. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ბიძინა ყიფიანი, როსტომ ლობჯანიძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი, ნონა მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია

საკრებულოს სხდომაზე გამოთქმული გარკვეული შენიშვნები. რიგი შენიშვნები, რომელიც აქტუალურია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ამ ეტაპზე წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში არ არის ასახული, გათვალისწინებული იქნება მიმდინარე წლის მანძილზე.

მოისმინეს: 2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

დამტკიცდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 23 იანვარს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

1. საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს და საკრებულოს რეკომენდაციას აძლევს საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

2. საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ გადაწყვიტა საკითხი-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ, შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე